ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2025 წლის 29 იანვარი

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა №12; №14; №14ა და №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ქალაქ ბათუმში, მეზღვაურთა ქუჩა №12; №14; №14ა და №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმა, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე – მეზღვაურთა ქუჩა №12; №14; №14ა და №16-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 05.33.21.115, 05.33.21.140, 05.33.21.508, 05.33.21.137) კ1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**